განკარგულება:**გ-63.63220381**
თარიღი:**07/02/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცებისა და რეკომენდაციის შემუშავების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შედგენა-შესრულება, ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების გეგმის შესრულება და აღრიცხვა-ანგარიშგება განხორციელებულია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, სხვა ნორმატიული აქტებისა და საკითხის ირგვლივ საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული სარეკომენდაციო წერილების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შედგენა-შესრულება, ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების გეგმის შესრულება და აღრიცხვა -ანგარიშგება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების გეგმის შესრულებისა და აღრიცხვა-ანგარიშგებისას გათვალისწინებული იქნას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის შესრულების ანალიზი დანართი N1-ის შესაბამისად.

დანართი N1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 70-ე მუხლის შესაბამისად, 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, თანხით 14203,0 ათასი ლარის ოდენობით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტის ოდენობა განისაზღვრა 190,0 ათასი ლარით, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 14013,0 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები -11846,3 ათასი ლარი.

- სხვა შემოსულობები -2076,7 ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების ზრდა - 90,0 ათასი ლარი.

თორმეტ თვეში ბიუჯეტის მიმართ ცხრაჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 25848,0 ათასი ლარის ოდენობით.

- საგადასახადო შემოსავლები - 12704,9 ათასი ლარი.
- სხვა შემოსულობები -2098,7 ათასი ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 184,1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 7376,5 ათასი ლარით. კერძოდ:

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 5388,4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის N168 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 660,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკარგულებით ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა შეადგენს 268,2 ათას ლარს.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკარგულებით ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო -96,9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 ნოემბრის N2032 განკარგულებით „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტს სოფელ ნაბაკევში რეკრიაციულ-დასასვენებელი სივრცის მოსაწყობად გამოეყო 773.0 ათასი ლარი.

ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისათვის ირიცხება 3501,3 ათ.ლარი , საიდანაც 748,1 ათ.ლარი არის 2018-2019-2020 წლების რეგიონული პროექტებიდან გადმოყოლილი შესრულებული სამუშაოების გარანტიისათვის დაკავებული ასევე დაუსრულებელი პროექტებისათვის გამოყოფილი თანხა. ხოლო 2753,2 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტით დარჩენილი თანხა. აღნიშნული ნაშთიდან განაწილდა 2749,3 ათასი ლარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის შემოსულობების ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დეკემბრის თვის შემოსავალმა

შეადგინა 22912,3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 102,5 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 12965,7 ათასი ლარი, რაც დეკემბრის თვის გეგმის 102,1 %-ია, აქვე უნდა ავღნიშნოთ , რომ დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 10533,6 ათასი ლარი გეგმა შესრულდა-103,2 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 1192,9 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 131,4 %-ით, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი მიღებულია -1239,2 ათ.ლარი გეგმა-1592,0 ათ. ლარი შესრულება - 77,8%-ი.

მიზნობრივი ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ცხრა თვეში მიღებული იქნა - 190,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტს ჩამოერიცხა -5387,9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის N147 განკარგულებით ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს ჩამოერიცხა - 255,2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის N168 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ჩამორიცხულია 660,0 ათასი ლარი.

2018 წელს ჩამორიცხული სხვა ტრანსფერი(შემოსავალი), რომელიც მიზნობრივად იყო მიმართული ეწრის საჯარო სკოლაში არსებული სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციოდ, ნაშთად(აუთვისებელი) დარჩენილი 20,0 ათასი ლარი ხაზინის მიერ მიმდინარე წელი იქნა დაბრუნებული სახელმწიფო ხაზინაში. ასევე წინა წლებში ჩამორიცხული და ნაშთად დარჩენილი გამოუყენებელი თანხა 22,8 ათასი ლარი დაბრუნებული იქნა ხაზინაში.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკარგულებით ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო და ჩამოერიცხა 96,8 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 ნოემბრის N2032 განკარგულებით „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტს სოფელ ნაბაკევში რეკრიაციულ-დასასვენებელი სივრცის მოსაწყობად ჩამოირიცხა - 773,0 ათასი ლარი.

სულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩამორიცხულმა ტრანსფრის ოდენობამ შეადგინა -7320,3 ათასი ლარი.

სხვა (ადგილობრივი) შემოსავლებიდან თორმეტ თვეში მიღებულია 2243,3 ათასი ლარი, გეგმა 2098,7 ათასი ლარი, შესრულება (106,9 %) კერძოდ: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებიდან - 80,9 ათასი ლარი, ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია - 336,3 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 142,6 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 1036,0 ათასი ლარი, ბანკიდან მიღებული დეპოზიტი - 386,0 ათასი ლარი და სხვა შემოსავლები - 261,5 ათასი ლარი.

შემოსავალი არაფინანსური აქტივიდან ფაქტიურად შემოვიდა - 383,0 ათასი ლარი.

ხოლო, რაც შეეხება 2021 წლის წლიური შემოსულობების შესრულების შედარებას 2020 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტთან (22115,0 ათასი ლარი), შემოსულია 797,3 ათასი ლარით მეტი.

შემოსავლების შესრულების მაჩვენებელი სახეობების მიხედვით შემდეგია:

2021 წლის წლიური შემოსულობები ათას ლარებში:

N	**დასახელება**	**გეგმა**	**ფაქტი**	**შესრულების %**
1	შემოსავლები	**22180,1**	**22529,3**	**102,5**
2	საგადასახადო შემოსავლები	12704,9	12965,7	102,1
3	გრანტები	7376,5	7320,3	99,2
4	სპეციალური ტრანსფერი			
5	სხვა შემოსავლები	2098,7	2243,3	106,9
6	არაფინანსური აქტივები	**184,1**	**383,0**	**208,0**
7	სულ შემოსავლები	**22364,2**	**22912,3**	**102,5**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის წლიური ბიუჯეტის გადასახდელების ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დეკემბრის თვის ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა - 22366,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 86,5 %-ია (თორმეტი თვის გეგმა - 25848.0 ათასი ლარი).

ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა (მუხლობრივ ჭრილში წლიურ გეგმასთან მიმართებით, ათას ლარებში):

N	დასახელება	გეგმა წლიური	ფაქტი წლიური	%
1	ხარჯები	13224.6	12465,3	79,8
2	შრომის ანაზღაურება	2369.7	2131.7	79,4
3	საქონელი და	2017.0	1735.8	64,4

	მომსახურება			
4	სუბსიდია	7008.4	6909.4	84,7
5	სოციალური უზრუნველყოფა	1342.8	1333.4	89,0
6	სხვა ხარჯი	427.9	299.4	46,4
7	გრანტი	17.1	14.0	67.3
8	პროცენტი	41,7	41,6	100,0
9	არაფინანსური აქტივი	12553.3	9830.9	65,6
10	ვალდებულებების კლება	70,1	70,1	100,0
	სულ ჯამი	25848.0	22366,3	73,2

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით ხარჯებმა დარგების მიხედვით შეადგინა:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი შეადგენს

- **3288,8 ათას ლარს.**

1.2 მათ შორის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების

ხელშეწყობის ხარჯი - 117,9 ათასი ლარი.

2. ეკონომიკის განვითარება - 7988,2 ათასი ლარი. მათ შორის:

2. 1 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება - 7171,5 ათასი ლარი.

2.2. საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის მომზადება - 1,3 ათასი ლარი.

2.3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 812,5 ათასი ლარი.

2.4.სოფლის მეურნეობის განვითარება - 2,9 ათასი ლარი.

3 . დასუფთავება და გარემოს დაცვა სულ - 1547,0 ათასი ლარი. მათ შორის:

3.1. დასუფთავება - 96,8 ათასი ლარი.

3. 2.. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება - 348,3 ათასი ლარი.

3.3. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება - 1101,9 ათასი ლარი.

4. საბინაო კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია სულ - 1429,0 ათასი ლარი. მათ შორის:

4.1 ბინათმშენებლობა - 158,9 ათასი ლარი.

4.2 წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 155,5 ათასი ლარი.

4.3 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 589,2 ათასი ლარი.

4.4. სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - 523,5 ათასი ლარი.

4.5. ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 1,9 ათასი ლარი.

5 . განათლების დარგით გახარჯულია სულ -3093,2 ათასი ლარი, აქედან :

5.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სუბსიდირებაზე - 2477.4 ათასი ლარი.

5.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტირება) – 364.1 ათასი ლარი.

5.3 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა - 43,0 ათასი ლარი.

5.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი -208.7 ათასი ლარი.

6. კულტურა , რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 3248.0 ათასი ლარი.

7. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - სულ - 1772.1 ათასი ლარი, მათ შორის:

7.1. ჯანდაცვის პროგრამები - 127.1 ათასი ლარი.

7.2 სოციალური პროგრამები - 1645.0 ათასი ლარი.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი